წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

„გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

ოთხშაბ. 4 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 109 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 109

# ომი აუცილებელია.

სრუტეების გარშემო დიდი ამბები ტრიალებს.

გათავხედებული ანტანტა ინგლისის მეთაურობით, თავს უყრის ყველა თავის სამხედრო ძალებს, როგორც საზღვაოს, ისე ხმელეთისას და მთელი თავისი ძალ-ღონით სურს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ოსმალეთის იმ ძლევა-მოსილ არმიას, რომელიც რაინდულათ მიიწევს წინ და ამნაირად სურს ანტანტის მიერ ფეხ-ქვეშ გათელილი და დაქუცმაცებული ოსმალეთი ხელ-ახლა აღადგინოს.

უკანასკნელი ცნობებით ოსმალეთის ჯარებს უკვე გადაულახავთ ნეიტრალური ზონა და წინ მიიწევენ ნეპრიბეტრუნის მიმართულებით. მათ დაიჭირეს ერანვეპი და ნესრა, კუსუნის რაიონში კი, ხელთ იგდეს ინგლისის ერთი ბატარეია და მთლიანად დაიჭირეს იზმიდის თითქმის ერთი რაიონი.

როგორც ვხედავთ, ფაქტიურად ომი უკვე გაჩაღებულია ოსმალეთ-ინგლისს შორის.

ამას არც ინგლისის კაბინეტი მალავს და მისი წევრები დარწმუნებულია მასში, რომ ომი აუცილებელია.

ამნაირად, ინგლისის განზრახვა, მშვიდობიანი კონფერენციის მოწვევით, ყოველგვარი შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებათ, მხოლოდ უბრალო ფიქცია გამოდგა.

არც შეიძლებოდა ამ იდეას ფრთები შეესხა, ვინაიდან კონფერენციაზე, მიუხედავათ თვით ოსმალეთის თხოვნისა და საბჭოთა რესპუბლიკების ნოტებისა, რათა მათაც (საბჭოთა რესპუბლიკებს) მისცემოდა საშუალება კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისა, უარყოფილ იქმნა ანტანტის მიერ.

მან საკითხის სამართლიანად გადაჭრას ამჯობინა იარაღის ხმარება, და აი, კიდეც ამისათვისაც არის, რომ ეგრე განუწყვეტლივ ჰგზავნიან შეიარაღებულ ძალებს სრუტეებისაკენ.

უკანასკნელ ცნობებით, მათ სრუტეების ბლოკადაც გამოუცხადებიათ, და უბრძანებიათ სამხედრო გემებისთვის ყუმბარები დაუშინონ ყველა იმ გემებს, რომლებიც უნებართვოთ გაბედავენ სრუტეებში შესვლას.

მაშ ასე, ომი უკვე დაიწყო.

საკითხავია ჩვენთვის სოციალისტებისთვის, რომლებიც პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ომების და სისხლის ღვრის, როგორი პოზიციებს დაადგებიან ამ შემთხვევაში ის სოციალ-შოვინისტები, რომლებიც მოკალათებულან მეორე ინტერნაციონალში და რომლებიც (სიტყვით მაინც) წინაამღდეგი არიან ამ უკანასკნელათ, ხელახლავ მსოფლიოსი ომის ქარცეცხლში გახვევის??

თუ ისევ გენდერსონები, შეიდამანელები და ვანდერველდები მხარში ამოუდგებიან ანტანტის ამ პირსისხლიან პირატებს და ქება-ხოტბას შეასხამენ მათ ზარბაზნების ჭექა-ქუხილს?

მაგრამ რა საკითხავია ეს?

განა მუშათა კლასმა ისედაც არ იცის მათი საქმიანობა?

განა ისინი როდისმე ოდნავ მაინც იცავდნენ მშრომელთა ინტერესებს? მაშ გამოსავალი მხოლოთ ერთშია. მესამე კომინტერნის გარშემო დარაზმვა და ამნაირად მთელი მსოფლიოს მუშათა მასების ერთად ამოძრავება.

მათი ერთსულოვანი ნაყოფი მხოლოდ მაშინ გამოიღებს ნაყოფს. მაშინ იქნება შესაძლებლობა მეორე მსოფლიო ომის ალის ჩასაქრობლათ.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს და მის ირგვლივ დარაზმულ მუშათა მასებს, რომლებიც ერთიანი ფრონტით შესძლებენ ლაგამი ამოსდონ გათავხედებულ ანტანტის იმპერიალისტებს

პ ა ნ ი.

# ბანდიტიზმს ბოლო ელება.

დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ვხედავთ, რომ ყველა პარტიები დაწყებული მენშევიკებიდან გათავებული ნაციონალ დემოკრატიებით ირაზმებიან ერთად.

მათი ფრონტი დღეს ყველასთვის ცხადი და აშკარაა. მისი მოღვაწეობა ამ პერიოდში გამოიხატება ხვა და ხვა უფერული გამოსვლებით (სადაც მონაწილეობას არ იღებდა მუშა კლასი) და შავი დემაგოგიურ-პროვაკაციული ყალთაბანდობით.

დღეს მილიარდობით იხარჯება საქართველოს ქონება, რომელიც მენშევიკებმა საზღვარ გარეთ გაიტაცეს მხოლოდ იმისთვის, რომ დაარწმუნონ მსოფლიო მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლების ბარბაროსობაში. ამას სჩადის მენშევიკების საზღვარ გარეთელი გაზეთი „საქართველოს თავისუფლება," რომელიც მათი დაუსრულებელი შხამის ნთხევაა. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ნომერი ამ ჟურნალისა, რომელიც ამტკიცებს და ააშკარავებს მათ საბოლაოდ გაკოტრებას. ჩვენში მენშევიკები კაი ხანია რაც გაკოტრდნენ, მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ უფრო მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ამ ჟამად გაქცეულ ვაჟბატონებს ტვინს ულიზიანებს და სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ეს მოვლენა ის არის, რომ მთელი ღონისძიებანი, რომელიც კი იხმარეს მენშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მათი თხოვნები და ვედრებანი ლოიდ ჯორჯისა და პუანკარესთან რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა." ანტანტამ ვერ შესძლო წინააღდეგ თავისი სულიერი მენშევიკებისათვის ხელი გაეწვდინა. რადგან მას უფრო სხვა საკითხები აწუხებდა და აწუხებს.

კერძოთ ინგლისი დღეს დიდ არევ-დარევას განიცდის. უკვე საგრძნობლად დაემსხვრა მას ჰიქის ფეხები ახლო აღმოსავლეთში და დარდანელის სრუტეებთან ითვლება მის ყოფნა-არყოფნის დღეები.

მენშევიკები დღეს აღარც საფრანგეთისათვის წარმოადგენს რეალურ მატერიალურ ღირებულებას.

აქაც არ მოუტანა მენშევიკებს ანტანტის „კოკამ უკვდავების წყალი" მათ დარჩათ ერთი: ისევ შინაურ ძალებისთვის მიემართათ. და აკი ასეც მოიქცნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადგომა, რომელიც ჩვენში ისეთივე და უფრო პირსისხლიანია, ვიდრე რუსეთში ვრანგელ-დენიკინი, მენშევიკების და მემარჯვენების პარტიების პირდაპირი ხელმძღვანელობით გამოწვეული იყო. ეს ასე, რომ არის მტკიცება არ სჭირდება. ამის მოწამეა დღეს საქართველოს მუშებ და გლეხები.

და აკი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ მოსწრებულად მიიღო ზომები და სასტიკად ეპყრობა იმათ ვინც იფიქრა სისხლით მოპოებული თავისუფლების ჩოლოყაშვილის ჯალათური ფეხით გათელვა.

საქართველოს გლეხობა და მუშათა კლასი იცნობს ჩოლოყაშვილს, როგორც ოფიცერს, როგორც თავადს და აგრეთვე როგორც ერთგულ მებრძოლს მემამულეთათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ე. ი. როცა მუშა და გლეხს, წითელ არმიელის სახით, უხდება ამ ჩვენი ქვეყნის ბოროტებასთან ბრძოლა, ჩვენთან იქნება თანაგრძნობა ყველა პატიოსანი მოქალაქისა.

მართალია დამარცხდა ჩოლოყაშვილის ყაჩაღური შემოტევა, მაგრამ მაინც ბანდიტიზმს უნდა ლიკვიდაცია ეყოს. ვინაიდგან ამას მოითხოვს ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ინტერესი.

ამხ. წითელ-არმიელებო!

იყავით მზათ და მტკიცეთ თავიანთ სადარაჯოებზე. თქვენ ხართ დარაჯნი მუშათა კლასის რევოლიუციონური მონაპოვარის საბჭოთა ხელისუფლების ეს არის თქვენი პირდაპირი დანიშნულება პროლეტარიატის დიქტატურის მსვლელობის პროცესში.,

ი. მეგრელიძე.

# დღევანდელი ცნობები

— **ნორვეგიის მუშათა პარტიამ რომელიც მიემხრო კომუნისტურ ინტერნაციონალს ამ დღეებში გადაიხადა 35 წლის იუბილე.**

— **ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც ის მოითხოვს ინგლისის ჯარების გაყვანას დარდანელიდან.**

— **ამერიკის ესკადრა განმანადგურებლებისა შევიდა სტამბოლში.**

— **დეპეშების ცნობით ამხ. ლენინი უკვე გაჯანმრთელდა ამ დღეებში შეუდგება მუშაობას სახალხო კომისართა საბჭოში.**

— **გერმანიის რწმუნებულმა ბუდაპეშტში გადასცა ვენგრიის მთავრობას საპროტესტო ნოტა, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერები მონარქისტები იმყოფებიან მჭიდრო კავშირში ვენგრიის რეაქციონულ ჯგუფებთან და ღებულობენ მათგან დახმარებას. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ ვენგრიის მთავრობას არა აქვს უფლება აღმოუჩინოს დახმარება გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერებს რადგან მათი დაშვება ვენგრიის ტერიტორიაზე უკვე იგივე დახმარებათ შეიძლება ჩაითვალოს.**

## ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— ფრაკიაში ოსმალეთის ელემენტების მოქმედება გამოცოცხლდა ბევრს ადგილებში ბერძენთა უფლება გადაყენებულია.

— დღეს ოსმალების გაზეთები აღნიშნავენ, რომ ოსმალების რაზმებმა წაიწიეს მზმიდან დასავლეთით.

— ანგორაში ელიან ქემალის ჩამოსვლას ემზადებიან საზეიმო დახვედრისათვის ამართეს არკები მილოცვის წარწერებით.

— გენ. გარრინგტონი, თავის ნოტაში ქემალ-ფაშისადმი, წინადადებას აძლევს გაგზავნოს ოსმალების ოფიცრები ახალი ნეიტრალური ზონის აღსადგენათ, რომ შემდეგში ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობას.

— ინგლისის პროგრამა მუდანის კონფერენციაზე, შეიცავს მოთხოვნილებას, რომ კონფერენციის განმავლობაში არ სწარმოებდეს არავითარი წინ წაწევა ოსმალების ჯარებისა ნეიტრალურ ზონასაკენ. კონფერენციის გათავებამდე ქემალისტებს არა აქვთ უფლება გავიდენ ევროპის ნაპირებზე.

— ანგორის მთავრობამ ოფიცია-

.....ითით მოითხოვს ...ოლ ბერძნებმა ფრაკია, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ანგორის მთავრობას.

— ანგორის მთავრობამ გამოიმუშავა თეზისები საპასუხოთ მოკავშირეთა კოლლექტიურ ნოტაზე, რომლებიც დამტკიცებულ იქმნენ ნაციონალურ საბჭოს მიერ ერთხმად.

— პუანკარემ მიიღო ინგლისის დ...ალიის ელჩები და აცნობა მათ დეპეშა საფრანგეთის დელეგატისა, რომელიც ამცნობდა, რომ ოსმალები თანახმანი არიან ფრაკიის დროებითი ოკუპაციისა, მოკავშირეთა რაზმების მიერ და თანახმანი არიან 3 ოქტომბრისათვის მოიწვიონ თათბირი მოკავშირეებთან ერთად. ქემალმა ამის გამო ბრძანება გასცა შეეჩერებიათ ოსმალებს შეტევა. საფრანგეთმა და იტალიამ მიიღეს ქემალის წინადადებები.




## ყველამ ვიშრომოთ.

ტფილისის მცველ მხლებელთა ათასეულის მოლარე ამხ. კაკულია და ადიუტანტი ამხ. ჩხეიძე, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან გულ-დასმით ეკიდებიან ათასეულის აღმშენებლობის საქმეებს. ხსენებული ამხანაგები დილიდან საღამომდე ენერგიულათ და დაუღალავი შრომით მუშაობენ.

ჩვენ ვისურვებდით, რომ ყველა თანამშრომლებმა მიჰბაძონ ამ ამხანაგების ერთგულ საქმიანობას თავიანთ მოვალეობისას, რათა ჩვენს ათასეულის შტაბში აღმოიფხვრას უსაქმიანობა და სიზარმაცე...

პოლიტხელმძღ. მაჩიტაძე

## გამოცხოველება.

ამ დღეებში პირველ ლეგიონის მეორე ათასეულში ყოველ-დღიურათ სწარმოებს გაზეთების კითხვა, პოლიტ-მეცადინეობა, იყო მოხსენებები თანამედროვე მომენტზე, მენშევიკების პროვოკაციულ პოლიტიკაზე, ბაქოს კომუნართა დახოცვაზე და სხ.

ასე, და ამრიგათ, ჩვენს ათასეულში პოლიტ-მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა. ვისურვებთ, კიდევ მეტ ნაყოფიერ მუშაობას.

ცომაია.

## ავადმყოფ წითელ არმიელს არ ხმარდება თავიანთი ხვედრი.

1-ლ ლეგიონის მე-2-რე ათასეულის მე-4-ე გუნდი დგას ხიდზე, რომელიც ყოველ დღე აგზავნის ლეგიონში 2—3 ციებით ავადმყოფს რაც აიხსნება წინასწარი უყურადღებობით.

ამ ჟამად 16 ციებიანი წითელ არმიელი წევს გუნდში.

ავადმყოფებს არავითარი მოვლა არა აქვთ.

რომ კითხოთ არმიელს, როგორა ხარ? გიპასუხებსთ: „ჩვენ როგორ უნდა ვიყვეთ, ჩვენი მოსარჩენი ხინა გაიყიდა“.

მე მგონია ავადმყოფ წითელ არმიელებს უნდა ხმარდებოდეს ის წამალი, ჩაი, შაქარი, პური, ხორცი და საცვლები, რომელიც გვაქვს ლეგიონში და შეადგენს მათ ხვედრს.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ე. ცომაია.

## პარტიული მუშაობა.

### მუშაობა მე-3-ე ლეგიონში.

ჩვენს უჯრედში პარტწრე არ მუშაობს, ხელმძღვანელების უყურადღებობის გამო.

სხვა სხდომები სისტემატიურათ სწარმოებს.

უჯრედს მიღებული აქვს ძირითადი მუშაობის პრინციპათ პოლიტგანყოფილების ცირკულიარი ახალი მეთოდებით მეცადინეობის შესახებ.

იქმნა დავალება უჯრედის წევრებზე „სასურსათო და ფინანსიური პოლიტიკის თემებზე“ მოსამზადებლათ რამაც შესაშესაფერისი ნაყოფი გამოიღო

დაინახამთ უჯრედის წევრებს, რომლებიც ამა თუ იმ სამკითხველოში დაორი-სამი თავმოყრილნი გულმოდგენით ეცნობიან საკითხს.

იქმნა ჩატარებული ბეჭვდითი სიტყვის დღე“ რამაც შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. იქმნა გამოწერილი ადგილობრივი გაზეთი „მუშა და გლეხი“ 17 ცალი, უჯრედისთვის, სამკითხველოსთვის და კერძო წევრებისათვის. საწევრო ფული უკვე სრულიათ მოვკრიბეთ და ჩავაბარეთ, ეხლა ვუცვლით სიერთო პარტბილეთებს მაგრამ გვგონია პარტიის ახალი გაწმენდა იქნება, მიტომ აგვიანებენ ბილეთების დარიგებას

მეცადინეობა პოლიტხელებთან ცოტა შეფერხდა, მაგრამ იმედი გვაქვს რომ გამოასწორებენ და არ მოგვაკლებენ იმ სულიერ საზრდოს, რომელსაც სისტემატიურათ ვღებდით.

ს. ბ.

ამხანაგო წ. არმიელებო! ებრძოლეთ თქვენ რიგებში, პროვოკაციას და დეზერტირობას.




## მეტი ყურადღება სამოსწავლო სკოლას.

როდესაც რესპუბლიკა მშვიდობიანობის დროს ინახავს ლაშქარს, იგი მოვალეა ისარგებლოს მდგომარეობით და შეუდგეს საომარ მოქმედებისთვის მზადებას, ვინაიდგან ძველი რომაელი მხედარი პომპეუსი ამბობდა:

„უკეთუ გინდა მშვიდობიანობა ემზადე ომისთვის.“

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არც მტერს სძინავს და ტეხნიკის მხრივაც მდიდარია იგი.

დასავლეთ ევროპის ტეხნიკას განვითარებამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი სამხედრო წრეებიც ამისათვის მომზადებულიყვნენ, და ეს მომზადება კი უნდა გამოიხატებოდეს მეომრების კარგად გაწვრთნაში და გათვითცნობიერებაში.

მაგრამ, ჩვენ ამ მხრივ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ გვინდა უპირველესად ყოვლისა მოვამზადოთ და შევქნათ კარგი კვალიფიციროვანული უმცროსი უფ შემადგენლობისა (ათეული და ოცეულის თავები) ამისთვის ვითომც პირობებიც მზათ არის, უკვე შეიქნა სამოსწავლო სკოლებიც, მაგრამ ესეც სავსებით არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ასეთ სკოლებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინემ მათ ჰქონდათ დღემდე.

სამოსწავლო სკოლებში უნდა იგზავნებოდეს ნაწილებიდან ისეთნი, რომლებიც გათავების შემდეგ ისევ თავის ნაწილებს დაუბრუნდება. მშვიდობიანობის დროს უნდა ვასწავლოთ წითელ არმიელებს ომში გამარჯვების საშუალებანი, და სწორედ ამ საქმეში მოგვეხმარება ჩვენი სამხედრო სამოსწავლო სკოლები.

ასეთი სკოლა ჩვენს ქართულ წითელ ლაშქარში უკვე არსებობს, მაგრამ საჭიროა მას მეტი ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეხლავე იქნეს გადათვალიერებული სამოსწავლო საწყფო სკოლის შტატები და დამატებით იქნას შევსებული, როგორც არის წერა კითხვის მეორე საფეხურის სკოლა და სხვა...

თუ საჭიროება მოითხოვს ასეთ სკოლების არსებობას, მაშასადამე მას მეტი ყურადღებაც უნდა მიექცეს.

ალ. გორ—ძე.

## ოფიციალური განყოფილება

### ყველა სამხედრო ნაწილების სამხედრო კორესპოდენტთა საყურადღებოთ.

როგორც, გაზეთ „წითელი არმიელის“ წერილებიდან სჩანს, რამოდენიმე ქართულ ჯარის ნაწილებში აქვს ადგილი არა სასიამოვნო მოვლენას, მაგალითად: ნაწილებში კარგი საჭმელი არ კეთდება, პური კარგი არ ცხვება, ფულს თავის დროზედ არ ღებულობენ და სხვა ასეთები, რაც იწვევს დიდ უსიამოვნებას წითელ არმიელთა შორის.

ვინაიდან ქართულ დივიზიის სასურსათო მომარაგების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამ ზემო აღნიშნულ დეფექტებზე ყურადღების მიქცევა, ვთხოვ ყველა კორესპოდენტებს, როდესაც წერილს გზავნიან გაზეთის რედაქციაში, მასთან ერთად აცნობოს ზემო აღნიშნულ სასურსათო მომარაგებას დამნაშავე პირთა გვარი, რომ მომარაგებას შეძლება ჰქონდეს, რათა მიიღოს სათანადო სასწრაფო ზომები რომ ყოველივე არა სასიამოვნო მოვლენას ბოლო მოუღოს, და დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

ქართულ დივ. სას. მომარაგების სამხედრო კომისარი ვ. ბახტაძე

განმანათლებელ განყოფილების უფროსი ა. გაჩეჩილაძე




(„წ. არ.“ № 106-დან.)

მესამე ლეგიონში
„დენშჩიკობა“ გაჩნდა:
ყველა „დიდს“ შე...ძლიან
(უუ—კი რომ მას დასჭირდა)

...ყვანოს ვინც უნდა
არმიელი მსახურად.

(უნდა გამოძიება
ხდება ასე აქ თუ რად?)

თორემ მაღლა აწვდილი
დაშნა წითლად იალებს,
და ყუმბარაც საშინლად
მათზე დაიგრიალებს.

დაშნა.

## ჩვენი ფოსტა.

ჩინჩილს. თქვენი დაცინვა ცხენოსან ესკადრონის სამხკორებზე, არ დაიბეჭდება, რადგანაც ისინი სისტემატიურად აწვდიან რედაქციას კორესპონდენციებს.

სხვა წერილები თანდათანობით დაიბეჭდება.

მესამე ლეგ. სამხკომს კ. ხუროძეს.

მივიღეთ თქვენი წერილი.

მეტად გრძელია. შევამოკლებთ და გავუშვებთ.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი ვ. ქუთათელაძე.